*დანართი*

## WorldSkills საქართველოს 2025 წლის უნარების ეროვნული კონკურსის ჩატარებისა და „WorldSkills International 2026“ - საერთაშორისო კონკურსისათვის კანდიდატის შერჩევის წესი

### მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

WorldSkills საქართველოს 2025 წლის უნარების ეროვნული კონკურსის ჩატარების წესი (შემდგომ - წესი) არეგულირებს WorldSkills საქართველოს ეროვნული კონკურსის (შემდგომ - ეროვნული კონკურსი) ჩატარების, გამარჯვებულების გამოვლენის წესსა და პროცედურებს, ასევე **WorldSkills International 2026-ის** - საერთაშორისო კონკურსისთვის (შემდგომ - საერთაშორისო კონკურსი) კანდიდატის გამოვლენის წესს.

### მუხლი 2. WorldSkills საქართველოს ეროვნული კონკურსის მიზანი

ეროვნული კონკურსის მიზანია:
ა) პროფესიული განათლებისა და სხვადასხვა პროფესიების მნიშვნელობისა და როლის პოპულარიზაცია ეკონომიკური ზრდისა და პიროვნული განვითარებისთვის;
ბ) პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა;
გ) პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
ე) ახალგაზრდა პროფესიონალების წახალისება, მათი უნარების წარმოჩენა და აღიარება;
ვ) „საერთაშორისო კონკურსი“-ის 2026 წლის საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს წარდგენის მიზნით ცალკეულ პროფესიებში საუკეთესო კანდიდატების შერჩევა/გამოვლენა.

### მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

1. ეროვნული კონკურსის პრინციპებია:
ა) ობიექტურობა;
ბ) სამართლიანობა;
გ) გამჭვირვალობა;
დ) პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
ე) ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა;
ვ) ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინება.
2. თითოეული კონკურსანტი, ჟიურის წევრი, ექსპერტი და ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია ეროვნული კონკურსის წარმართვისა და მონაწილეობის პროცესში, ასევე საერთაშორისო კონკურსის მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში დაიცვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრინციპები.

### მუხლი 4. ეროვნული კონკურსის მიმართულებები

ეროვნული კონკურსისათვის კონკურსანტები შეირჩევიან შემდეგი მიმართულებებიდან:
ა) თაბაშირ-მუყაოს სამუშაოები Plastering and Drywall Systems;
ბ) მოდის ტექნოლოგია Fashion Technology;
გ) ვებ ტექნოლოგია Web Technology;
დ) კონდიტერია Pâtisserie and Confectionery;
ე) თმის მომსახურება Hairdressing;

ვ) ავტომობილის ტექნოლოგია Automobile Technology.

**მუხლი 5. ეროვნული კონკურსის ეტაპები და საერთაშორისო კონკურსის მონაწილეთა გამოვლენა**

1. ეროვნული კონკურსი ტარდება შემდეგ ეტაპებად:

ა) I ეტაპი - კონკურსანტების წარდგენა ეროვნული კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტისთვის (შემდგომში - საორგანიზაციო კომიტეტი);

ბ) II ეტაპი - გამარჯვებულების გამოვლენა ეროვნულ დონეზე;

გ) III ეტაპი - ეროვნული კონკურსის გამარჯვებულთა შორის საერთაშორისო კონკურსის მონაწილეთა გამოვლენა. II ეტაპის შემდგომ, ეროვნული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი დარგის ექსპერტი დაადგენს შესაბამისობას საერთაშორისო საკონკურსო მოთხოვნებთან და გასცემს რეკომენდაციას, რომლის საფუძველზეც კომისია იღებს გადაწყვეტილებას და განსაზღვრავს საბოლოო მიმართულებებს WorldSkills International 2026 წლის რიგით 48 საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს წარდგენის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონკურსანტი თავად განაცხადებს უარს ან საერთაშორისო კონკურსისთვის მომზადების პროცესში გამოვლინდება საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის ხელისშემშლელი რაიმე გარემოება (მათ შორის, კონკურსანტის უარი საერთაშორისო კონკურსისთვის მოსამზადებელ პროცესებში მონაწილეობაზე ან სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებს კონკურსანტის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის მიზანშეუწონლობაზე, ასეთ შემთხვევებში განიხილება რიგითობით შემდეგი კონკურსანტი).

2. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მიმართულებაში, ეროვნული კონკურსის II ეტაპზე დასაშვები კონკურსანტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) თაბაშირ-მუყაოს სამუშაოები Plastering and Drywall Systems - არაუმეტეს 10 კონკურსანტისა;

ბ) მოდის ტექნოლოგია Fashion Technology - არაუმეტეს 10 კონკურსანტისა;

გ) ვებ ტექნოლოგია Web Technology - არაუმეტეს 10 კონკურსანტისა;

დ) კონდიტერია Pâtisserie and Confectionery- არაუმეტეს 10 კონკურსანტისა;

ე) თმის მომსახურება Hairdressing - არაუმეტეს 10 კონკურსანტისა;

ვ) ავტომობილის ტექნოლოგია Automobile Technology - არაუმეტეს 10 კონკურსანტისა.

3. თუ ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე მიმართულებაში საორგანიზაციო კომიტეტისთვის წარდგენილი კონკურსანტების რიცხვი აღემატება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას, საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს წინასაკონკურსო ტური (მათ შორის გასაუბრების სახით), რომლის საშუალებითაც გამოვლინდება ეროვნული კონკურსის II ეტაპზე მონაწილეობის უფლების მქონე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის შესაბამისი კონკურსანტები. საორგანიზაციო კომიტეტი ექსპერტთა ჩართულობით უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე მიმართულებაში კონკურსანტების მაქსიმალურ რაოდენობასთან გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით.

4. საორგანიზაციო კომიტეტს კონკურსანტები უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 2025 წლის 14 ნოემბრისა, 2025 წლის 14 ნოემბრის შემდგომ წარდგენილი კონკურსანტები არ განიხილებიან.

5. ეროვნული კონკურსის II ეტაპი გაიმართება 2025 წლის 27 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

6. ეროვნულ კონკურსზე გამარჯვებულთა შორის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეთა გამოვლენის III ეტაპი გაიმართება 2026 წლის პირველ კვარტალში.

**მუხლი 6. ეროვნულ კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი და მისი წარდგენის უფლებამოსილება**

1. ეროვნულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე ახალგაზრდა პროფესიონალს, რომელიც ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებით პროფესიას ეუფლება/დაეუფლა ფორმალურ ან არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში და რომლის ასაკიც 2026 წლის მდგომარეობით არ აღემატება 22 წელს.

2. ეროვნულ კონკურსში საორგანიზაციო კომიტეტისთვის:

ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/სტუდენტის/კურსდამთავრებულის წარდგენის უფლება აქვს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას;

ბ) მსმენელის/კურსდამთავრებულის წარდგენის უფლება აქვს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ იურიდიულ პირს;

გ) დასაქმებულის წარდგენის უფლება აქვს დამსაქმებელს, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ მიმართულებებთან;

დ) საკუთარი თავის წარდგენის უფლება აქვს თვითდასაქმებულ ინდივიდუალურ მეწარმეს, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ მიმართულებებთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები უფლებამოსილი არიან საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინონ მხოლოდ ერთი კანდიდატი.

4. საერთაშორისო კონკურსზე კონკურსანტს მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ ერთხელ, ასევე თუ პირს საერთაშორისო კონსკურსში მიღებული აქვს მონაწილეობა, ეროვნულ კონკურსზე მისი კანდიდატურა არ დაიშვება.

**მუხლი 7. კონკურსანტების შერჩევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ**

1. ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისთვის წარდგენის ვადებს განსაზღვრავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული კონკურსისა და განაცხადების წარდგენის ვადების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა შესაბამისი პირებისთვის.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია ეროვნული კონკურსის II ეტაპზე წარსადგენი კანდიდატები შეარჩიოს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, კომისიის საშუალებით. კომისიის შემადგენლობასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.

4. კონკურსანტების შერჩევის კრიტერიუმებსა და წესს განსაზღვრავს კომისია. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება/კერძო კომპანია კონკურსანტის შესაძლებლობების გაძლიერების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) ეროვნულ დონეზე კონკურსანტის გადამზადება/ცნობიერების ამაღლება;
ბ) საერთაშორისო კონკურსისათვის, საჭიროების შემთხვევაში, პორტფოლიოს, ხელსაწყოების ნაკრების და/ან სხვა მასალებით/რესურსებით უზრუნველყოფა;
გ) საჭიროების შემთხვევაში, კონკურსანტის ქვეყნის შიდა მივლინების ხარჯების დაფარვა.

**მუხლი 8. საორგანიზაციო კომიტეტისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. ეროვნულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით, საორგანიზაციო კომიტეტს თითოეული კონკურსანტის შესახებ წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:
ა) კონკურსანტის განცხადება;
ბ) კონკურსანტის სამოტივაციო წერილი;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი პორტფოლიო.
2. იმ შემთხვევაში, თუ პირს განათლება მიღებული აქვს ან იღებს არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში, საორგანიზაციო კომიტეტს წარედგინება დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პირის სწავლის/განათლების მიღება ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებით.
3. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" - "გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირი ვალდებულია, კონკურსანტის კანდიდატურასთან ერთად, საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინოს კონკურსანტის მენტორის შესახებ ინფორმაციაც, რომელიც მოიცავს:
ა) მენტორის სახელს და გვარს;
ბ) მენტორის საკონტაქტო ინფორმაციას;
გ) მენტორის რეზიუმეს.
4. მენტორი უზრუნველყოფს კონკურსანტის მხარდაჭერას როგორც ეროვნული კონკურსის განმავლობაში, ისე საერთაშორისო კონკურსისთვის გადამზადების პროცესში.
5. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკურსანტების შემთხვევაში, იმავე პუნქტებით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან წარადგინონ კონკურსანტის მხარდამჭერი წერილი, რომელშიც დასაბუთებული იქნება კანდიდატის კომპეტენციები და წარდგენის მიზეზები.
6. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია საორგანიზაციო კომიტეტს დამატებით წარუდგინოს კომისიის სხდომის ოქმი.
7. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინონ წერილობითი დადასტურება მათ მიერ საქმიანობის ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებით განხორციელების შესახებ.
8. თუ საორგანიზაციო კომიტეტისათვის წარდგენილი დოკუმენტები არ არის სრულყოფილი, ან საჭიროებს დაზუსტებებს, საორგანიზაციო კომიტეტი უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ განსაზღვროს ვადა დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოსადგენად, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. დადგენილ ვადაში შესაბამისი

დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განცხადება განუხილველი დარჩება, რის შესახებაც კონკურსანტს დამატებით არ ეცნობება.

**მუხლი 9. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ კონკურსანტების განაცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლა**

1. ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს კონკურსანტებისა და მათი წარმდგენი პირების ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
2. კონკურსანტის მიერ წარდგენილი სამოტივაციო წერილის საფუძველზე, საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს გააზრებული აქვს თუ არა კონკურსანტს ეროვნული კონკურსისა და საერთაშორისო კონკურსის მნიშვნელობა და არსი, ასევე, კონკურსებზე მონაწილეობის პასუხისმგებლობა.
3. საორგანიზაციო კომიტეტი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ასევე, ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, მოხსნას კონკურსანტი ეროვნული კონკურსის ნებისმიერი ეტაპიდან.

**მუხლი 10. ეროვნული კონკურსის II და III ეტაპების საორგანიზაციო ღონისძიებები**

1. ეროვნული კონკურსის II და III ეტაპების ორგანიზების მიზნით, საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს:
ა) ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მიმართულებით ერთი დარგის ექსპერტის შერჩევას, რომელიც შეიმუშავებს ეროვნული კონკურსის II და III ეტაპებისათვის აუცილებელ დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
ბ) ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მიმართულებით არანაკლებ 3 (სამი) ჟიურის წევრის გამოვლენას, რომლებიც შეაფასებენ კონკურსანტებს დარგის ექსპერტის მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;
გ) ეროვნული კონკურსის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმართვას;
დ) ეროვნული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას;
ე) ეროვნული კონკურსის II და III ეტაპების წარმართვისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების ორგანიზებას.
2. ეროვნული კონკურსის II და III ეტაპის ორგანიზების მიზნით, სააგენტო/პარტნიორი ორგანიზაცია/ასოციაცია უზრუნველყოფს:
ა) ეროვნული კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზებისთვის აუცილებელი საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვას, ასევე, სივრცის დაქირავებას;
ბ) ეროვნული კონკურსის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმართვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვას;
გ) ეროვნული კონკურსის II ეტაპის წარმართვისთვის კვების მომსახურების შესყიდვას, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ;
დ) ეროვნული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოებისთვის აუცილებელი საქონლის/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას;
ე) სხვა აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას.

3. საორგანიზაციო კომიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დავალების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, პარტნიორი ორგანიზაციები/ასოციაციები უზრუნველყოფენ ეროვნული კონკურსის II და III ეტაპის წარმართვისთვის აუცილებელი სივრცის დათმობასა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფას.

**მუხლი 11. დარგის ექსპერტისა და ჟიურის წევრების შერჩევა და მათი პასუხისმგებლობა**

1. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებების შესაბამისი დარგის ექსპერტის მოძიებას და მისი კანდიდატურის სააგენტოსთვის წარმოდგენას უზრუნველყოფს შესაბამისი დარგის პარტნიორი ორგანიზაცია/ასოციაცია.
2. დარგის ექსპერტი და ჟიურის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სექტორში კვალიფიკაცია ან/და საქმიანობის სულ მცირე 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება და მიღწევები, ასევე, იცნობს დარგში არსებული საერთაშორისო სტანდარტებს, რაც დასტურდება მისი სამუშაო გამოცდილებით ან/და განათლებით.
3. დარგის ექსპერტის/ჟიურის წევრის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს ადგილობრივ/საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ან/და გამარჯვების გამოცდილება ან/და ფლობს ინგლისურ ენას.
4. ჟიურის წევრი დაუშვებელია იყოს ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კონკურსანტის წარმდგენთან ან/და კონკურსანტთან კავშირში მყოფი პირი.
5. ჟიურის წევრების შერჩევის მიზნით განაცხადების წარდგენის ვადებს განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი.
6. კანდიდატი ვალდებულია საორგანიზაციო კომიტეტს წარუდგინოს რეზიუმე და ადგილობრივ/საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ან/და გამარჯვების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. საორგანიზაციო კომიტეტი ჟიურის წევრის შერჩევას უზრუნველყოფს გასაუბრების გზით. საორგანიზაციო კომიტეტი უფლებამოსილია გასაუბრება წარმართოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით.
8. საკონკურსო დავალებისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას დარგის ექსპერტები, ხოლო კონკურსანტების შეფასებისას ჟიურის წევრები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ და დაიცვან ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპები.
9. დარგის ექსპერტი ვალდებულია დაიცვას საკონკურსო დავალების შინაარსისა და შეფასების კრიტერიუმების კონფიდენციალურობა.

**მუხლი 12. ეროვნული კონკურსის II ეტაპზე გამარჯვებულების გამოვლენა**

1. ეროვნული კონკურსის II ეტაპზე ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მიმართულებაში გამოვლინდებიან საუკეთესო შედეგების მქონე I, II და III ადგილების მფლობელი კონკურსანტები (შემდგომში - გამარჯვებულები).
2. ეროვნული კონკურსის II ეტაპზე კონკურსანტების შეფასებასა და გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს არანაკლებ სამი წევრისგან შემდგარი ჟიური.
3. ჟიურის თავმჯდომარე აირჩევა ჟიურის წევრებს შორის, ჟიურის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

4. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მიმართულებისთვის ჟიურის შემადგენლობის განსაზღვრას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.
5. ეროვნული კონკურსის II ეტაპზე ჟიურის თითოეული წევრი კონკურსანტს აფასებს ქულათა სისტემით, დარგობრივი ექსპერტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებისა და შეფასების სისტემის შესაბამისად. კონკურსანტის საბოლოო ქულა იანგარიშება ჟიურის წევრების ქულათა დაჯამებითა და საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.
6. რამდენიმე კონკურსანტის მიერ თანაბარი ქულის დაგროვების შემთხვევაში, ჟიურის წევრების მიერ კენჭი ეყრება თანაბარქულიან კონკურსანტებს. გამარჯვებული გამოვლინდება ჟიურის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს ჟიურის თავმჯდომარე.

**მუხლი 13. ეროვნული კონკურსის III ეტაპზე გამარჯვებულების გამოვლენა**

1. ეროვნული კონკურსის III ეტაპზე ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მიმართულებაში გამოვლინდებიან II ეტაპზე საუკეთესო შედეგების მქონე I, II და III ადგილების მფლობელ კონკურსანტებს შორის გამარჯვებული, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონკურსში.
2. ეროვნული კონკურსის III ეტაპზე კონკურსანტების შეფასებასა და გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს ექსპერტი და არანაკლებ სამი წევრისგან შემდგარი ჟიური. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტი.
3. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მიმართულებისთვის ჟიურის შემადგენლობის განსაზღვრას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.
4. ეროვნული კონკურსის III ეტაპზე ჟიურის თითოეული წევრი კონკურსანტს აფასებს ქულათა სისტემით, დარგობრივი ექსპერტის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებისა და შეფასების სისტემის შესაბამისად. კონკურსანტის საბოლოო ქულა იანგარიშება ჟიურის წევრების ქულათა დაჯამებითა და საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.
5. რამდენიმე კონკურსანტის მიერ თანაბარი ქულის დაგროვების შემთხვევაში, ჟიურის წევრების მიერ კენჭი ეყრება თანაბარქულიან კონკურსანტებს. გამარჯვებული გამოვლინდება ჟიურის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს ექსპერტი.

**მუხლი 14. კონკურსანტების ვალდებულებები**

1. ეროვნული კონკურსის თითოეულ ეტაპზე კონკურსანტი ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები:

ა) დაუშვებელია კონკურსანტის მიერ სხვა კონკურსანტისთვის ხელის შეშლა;

ბ) დაუშვებელია სხვა კონკურსანტების, ჟიურის წევრებისადმი ან/და საზოგადოებისადმი არაეთიკური და არაკოლეგიალური დამოკიდებულების გამოვლენა ან/და სხვა სახის ანტისაზოგადოებრივი ქცევა;

გ) ჟიურის წევრებზე გავლენის მოხდენა ან/და მისი მცდელობა;

დ) დაუშვებელია კონკურსანტის მიერ საკუთარი თავისთვის ან მესამე პირებისთვის, ასევე, უძრავი/მოძრავი ქონებისთვის ზიანის მიყენება ან/და ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა;

ე) დაუშვებელია უშუალოდ საკონკურსო დავალების შესრულების პროცესში სხვა კონკურსანტის დახმარება ან/და ასეთი დახმარების მიღება საკონკურსო სივრცეში მყოფი ნებისმიერი პირისგან, მათ შორის მენტორისგან;

ვ) დაუშვებელია პლაგიატი.

2. საორგანიზაციო კომიტეტი/ჟიური უფლებამოსილია განსაზღვროს კონკურსანტის მიერ დასაცავი სხვა წესები და ვალდებულებები.

3. კონკურსანტი ვალდებულია დაიცვას კონკურსის ორგანიზატორების მითითებები.

4. კონკურსანტის მიერ ამ მუხლით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, ჟიური უფლებამოსილია განიხილოს კონკურსიდან მისი მოხსნის საკითხი და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

**მუხლი 15. ეროვნული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება**

1. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მიმართულებაზე ეროვნული კონკურსის II ეტაპის საუკეთესო შედეგის მქონე I, II და III ადგილების მფლობელი კონკურსანტები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

2. ეროვნული კონკურსის II ეტაპის ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატები.